გაეროს კომიტეტებში (UN CEDAW; UN CRPD) მიმართვის პროცედურები

(გამარტივებული ვერსია)

2021

პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის

UN for Persons with Disabilities in Georgia

UN WOMEN

დოკუმენტი მომზადებულია ორგანიზაცია პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის პროექტის „ქალთა გაერთიანება - საქართველო, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და გოგონათა ხმის გასაძლიერებლად" ფარგლებში. პროექტი ხორციელდება გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და მდგრადი განვითარების ერთობლივი ფონდის მხრადაჭერით გაეროს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში „სოციალური დაცვის სისტემის გარდაქმნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის საქართველოში."

წინამდებარე დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ გამოხატავდეს ან ემთხვეოდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის და/ან მდგრადი განვითარების ერთობლივი ფონდის მოსაზრებებს.

ავტორები: ანა აბაშიძე, ანა არგანაშვილი.

© პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR) 2021

სარჩევი

შესავალი....4

აბრევიატურები....5

CEDAW კონვენცია და კომიტეტი....5

CRPD კონვენცია და კომიტეტი....5

ინდივიდუალური საჩივრები კომიტეტებში....6

ინდივიდუალური კომუნიკაცია....6

დროებითი ღონისძიება....7

გამოკითხვა....7

ინდივიდუალური საჩივრის წარდგენა....8

დასაშვებობის ფორმალური კრიტერიუმები....8

ვადები, სამუშაო ენა და მისამართი....9

კომიტეტების მიერ განხილული საქმეები....9

- CEDAW კომიტეტი....9
- CRPD კომიტეტი....12

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ქალებსა და მათ უფლებადამცველებს ყველასათვის გასაგები და ადვილად აღსაქმელი ფორმით მიაწოდოს ინფორმაცია გაეროს კონკრეტული მექანიზმების შესახებ, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია ქალთა და შშმ პირთა უფლებების საერთაშორისო მექანიზმების საშუალებით დაცვა. ამასთანავე, ავტორთა კონკრეტული მიზანია წინამდებარე გაიდლაინის(რეკომენდაციის) გამოყენებით ნებისმიერმა ადამიანმა, რომელსაც არ აქვს სპეციალური იურიდიული ცოდნა, შეძლოს დამოუკიდებლად მიმართოს კომიტეტებს.

დოკუმენტი განიხილავს ორ კონკრეტულ მექანიზმის - გამოყენების წესებს და საქმეთა განხილვის პროცედურებს. ეს მექანიზმებია: გაეროს შშმ პირთა კომიტეტი (შემდგომში UN CR) და გაეროს ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტი (შემდგომში UN CEDAW).

ავტორები წარმოადგენენ ორი სხვადასხვა კონვენციის საფუძველზე მიმართვიანობის პროცედურებს. აღნიშნული ინტეგრირებული დოკუმენტის მიზანია, მსმენელს, ის იქნება ქალი თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (მათ შორის ქალი, ბავშვი, კაცი, ხანდაზმული), მისცეს საშუალება, პირველი- ადვილად შეარჩიოს სათანადო კომიტეტი მიმართვიანობისთვის და მეორე- გამოიყენოს ინტერდისციპლინური ხედვა საქმეთა მომზადების დროს.

დოკუმენტი მკითხველს ასევე მიაწვდის გამარტივებული ენით კომიტეტების მიერ განხილულ ბოლო დროის ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. გადაწყვეტილებები შერჩეულია, ერთი მხრივ, შშმ ქალთა და ქალთა უფლებრივი დარღვევების წარმოჩენის კრიტერიუმით და, მეორე მხრივ, თემატური კრიტერიუმით, რაც ყველაზე რელევანტური იქნება ქვეყანაში არსებულ გამოწვევებთან.

საქართველოს აღიარებული აქვს UN CEDAW კომიტეტში მიმართვიანობის პროცედურები. ხოლო UN CRPD კომიტეტის იურისდიქცია მიმართვიანობის კონტექსტში 2021 წლის მარტის თვეში გახდა ხელმისაწვდომი ქვეყნისთვის, როცა პარლამენტმა რატიფიცირება გაუკეთა კონვენციის დამატებით ოქმს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ საქართველოში მყოფ/მცხოვრებ შშმ პირებს შესაძლებლობა აქვთ მიმართონ გაეროს იმ დარღვევების საფუძველზე რომელიც შესაძლებელი მოხდეს 2021 წლის მარტის თვიდან.

აბრევიატურები

1. UN CEDAW კომიტეტი - გაეროს კომიტეტი ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ.

2. UN CRPD კომიტეტი - გაეროს კომიტეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ.

3. UN CEDAW კონვენცია - გაეროს საერთაშორისო კონვენცია ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ.

4. UN CRPD კონვენცია - გაეროს საერთაშორისო კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ.

CEDAW კონვენცია და კომიტეტი

ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1979 წელს და ძალაშია შესული 1981 წელს. ამ დროისთვის 189 სახელმწიფომ აღიარა კონვენციის იურიდიული ძალა ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში. საქართველო კონვენციას მიუერთდა 1994 წელს. კონვენცია არის უნიკალური საერთაშორისო ინსტრუმენტი, რომელიც ექსკლუზიურად აწესრიგებს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის საკითხებს, განამტკიცებს ქალთა უფლებებს და სახელმწიფოებს განუსაზღვრავს მოვალეობებს, რათა გენდერული თანასწორობა და ფუნდამენტური უფლებები დაცული იყოს მაღალი სტანდარტით.

კონვენციის ეფექტური აღსრულების მიზნით, გაეროში შექმნილია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (შემდგომში CEDAW კომიტეტი). სწორედ აღნიშნული კომიტეტი განიხილავს ინდივიდუალურ მიმართვებს, რომლებიც ქალთა კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევას შეეხება და მისი აღმოფხვრისკენ არის მიმართული. კონვენციის მონაწილე ქვეყნების მთავრობები კომიტეტს 4 წელიწადში ერთხელ წარუდგენენ პერიოდულ ანგარიშებს, თუ როგორ აღასრულეს კონვენციის დებულებები ქალთა უფლებების მიმართულებით. კომიტეტი ასევე იღებს და განიხილავს ე.წ. „ჩრდილოვან“ და ალტერნატიულ ანგარიშებს, რომლებიც შეიძლება წარუდგინოს კომიტეტს სამოქალაქო სექტორმა და სახალხო დამცველმა. ანგარიშების განხილვის შედეგად კომიტეტი აფასებს ქვეყნის მიღწევებს და ასევე გამოყოფს პრობლემურ ნაწილებს, რომელთა შესახებაც რეკომენდაციებს აძლევს ქვეყანას.

CRPD კონვენცია და კომიტეტი

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2006 წელს მიიღო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 2008 წელს. კონვენცია არის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი, იურიდიულად სავალდებულო პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც განამტკიცებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს, ასევე სახელწმიფოებს ავალდებულებს აღნიშნული უფლებების ეფექტურ დაცვას. კონვენციაში ცალკე ადგილი ეთმობა შშმ ქალთა (მუხლი 6) და შშმ ბავშვთა (მუხლი 7) უფლებების პატივისცემისა და დაცვის რეგულაციებს.

ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მსგავსად, შშმ პირთა კონვენცია ასევე აყალიბებს აღსრულებაზე ზედამხედველ ორგანოს, კომიტეტს, რომლის ფუნქციაც ისეთივეა, როგორიც სხვა კომიტეტებისა: 4 წელიწადში ერთხელ სახელმწიფოთა პერიოდული ანგარიშების მოსმენა, რეკომენდაციების მიცემა ქვეყნებისთვის და ამავდროულად ინდივიდუალური დარღვევების შემთხვევაში კომიტეტისადმი მიმართული საჩივრების განხილვა.

კომიტეტში ალტერნატიული ანგარიშის წარდგენის უფლება აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციებს და სახალხო დამცველს, თუმცა განსაკუთრებული ადგილი აქვს შშმ პირთა ორგანიზაციების მიერ წარდგენილ ანგარიშებს, რომელთაც მეტი ყურადღება ექცევა. მაგალითად, შშმ პირთა ორგანიზაციები თავიანთი პრიორიტეტების მიხედვით წარადგენენ საკითხებს და კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომლებსაც აუცილე-

ბლად უნდა უპასუხოს სახელმწიფომ განსაკუთრებული გულისხმიერებით.

ინდივიდუალური საჩივრები კომიტეტებში

ინდივიდუალური კომუნიკაცია

ორივე კონვენციას შემუშავებული აქვს დამატებითი ოქმი, რომლის საშუალებითაც შეიქმნა ინდივიდუალური საჩივრების განმხილველი მექანიზმი, რათა კომიტეტებმა იმსჯელონ კონკრეტული ინდივიდის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევის შესახებ. CEDAW კომიტეტის დამატებითი ოქმი შემუშავდა და ძალაში შევიდა 2000 წელს, რასაც მოჰყვა რატიფიცირება საქართველოს პარლამენტის მიერ 2002 წელს.

CRPD კონვენციამ ანალოგიურად შექმნა კომიტეტში ინდივიდუალური განაცხადების წარდგენის საშუალება, რომელიც შემუშავდა კონვენციასთან ერთად 2006 წელს და ძალაში შევიდა 2008 წელს. საქართველო ოქმის მონაწილე ქვეყანა გახდა 2021 წლის მარტის თვეში, როცა საქართველოს პარლამენტმა რატიფიცირება გაუკეთა ოქმს. რაც ნიშნავს იმას რომ შშმ პირებს უფლება აქვთ მიმართავენ კომიტეტს ინდივიდუალური საჩივრებით იმ დარღვევებზე რომელიც მოხდება რატიფიცირების თარიღის შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტების გადაწყვეტილებები არის სარეკომენდაციო ხასიათის, საქართველოს კანონმდებლობაში გარანტირებულია კომიტეტში საქმეთა მოგების შემთხვევაში ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის შესაძლებლობა საქართველოს სასამართლო სისტემის გამოყენებით, რაც იურიდიულად სავალდებულო იქნება და გარანტიას ქმნის, რომ მოსარჩელე დარღვეული უფლების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურებას შეძლებს ეროვნულ დონეზე.

აღნიშნულ შესაძლებლობას ქმნის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[57] - 21[60] მუხლი.

ქონებრივი ან/და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზნით ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელით სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს იმ პირს, რომლის მიმართაც არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, ბავშვის უფლებათა კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (შემდგომ – კომიტეტი) გადაწყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილ იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა.

პირი ან მისი წარმომადგენელი ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელს წარუდგენს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული კომიტეტის გადაწყვეტილების მიღებიდან 6 თვის ვადაში.

CRPD კონვენციის დამატებითი ოქმის სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:

- ინდივიდუალური კომუნიკაციის არსი, ფარგლები, დასაშვებობის კრიტერიუმები (მუხლები 1,2)
- კომუნიკაციის რეგისტრაციის შემდგომი პროცედურა (მუხლები 3,5)
- დროებითი ღონისძიება (მუხლი 4)
- გამოკითხვის პროცედურა (მუხლები 6,7)
- დასკვნითი დებულებები

დროებითი ღონისძიება

არის შემთხვევები, როდესაც ინდივიდუალური მოსარჩელე საჭიროებს კომიტეტების მხრიდან დაუყოვნებელ მოქმედებას, მაგალითად, როცა რისკის ქვეშ არის მომჩივნის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ანუ იქმნება ისეთი ზიანის დადგომის რისკი, რომლის თავიდან აცილება ან შემდგომი ანაზღაურება შეუძლებელი იქნება. ასეთ შემთხვევებს აწესრიგებს CEDAW კონვენციის დამატებითი ოქმის მე-5 და CRPD კონვენციის დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი.

ინდივიდუალური საჩივრის მიღებიდან ნებისმიერ დროს, კომიტეტში საქმის არსებითი განხილვის დასრულებამდე, კომიტეტს აქვს უფლება სახელმწიფოს სასწრაფოდ გადაუგზავნოს კონკრეტული მოთხოვნა დროებითი ზომების მიღების თაობაზე.[1] დროებითი ღონისძიების შესახებ მოთხოვნა გამოიყენება გამონაკლის შემთხვევებში, კერძოდ, მაშინ, როდესაც კონვენციის სერიოზული დარღვევის საშიშროება არსებობს.

შშმ პირთა უფლებების კომიტეტის მიერ აქამდე 12 ინდივიდუალურ საჩივართან მიმართებით გამოყენებულია დროებითი ღონისძიებების მოთხოვნა შემდეგი თემატური საფრთხეების დროს:

1. დეპორტაცია.
2. სიკვდილით დასჯა/წამება.
3. საჭირო სამედიცინო დახმარების/ პროცედურების მიუწოდებლობა.

გამოკითხვა

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საშუალება, რომელიც კომიტეტს შეუძლია გამოიყენოს ინდივიდუალური მიმართვის განხილვის დროს, არის კონფიდენციალური გამოკითხვის/გამოძიების შესაძლებლობა. CEDAW კონვენციის დამატებითი ოქმის მე-8 მუხლი და CRPD კონვენციის მე-6 მუხლი კომიტეტს აძლევს შესაძლებლობას, უფლებათა სისტემური დარღვევის შემთხვევაში, სახელმწიფოსთან შეთანხმებით და ნებართვით, ეწვიოს ქვეყანას და მოიძიოს ყველა ინფორმაცია განსახილველ საკითხებზე ქვეყნის შიგნით ჩატარებული საფუძვლიანი მოკვლევით. საჩივრით მიმართვის პროცედურისგან განსხვავებით, მოკვლევის თხოვნით კომიტეტს შეიძლება მიმართონ ადამიანებმა სხვების სახელითაც. ამ დროს აუცილებელი არ არის შიდასამართლებრივი გასაჩივრების საშუალებების ამოწურვა. ასეთი თხოვნა კომიტეტთან შეიძლება შევიდეს შშმ პირთა ორგანიზაციების ან ზოგადად, სამოქალაქო სექტორის მხრიდან. ამგვარ მოთხოვნას წინ უნდა უძღოდეს ინფორმაცია ქვეყანაში კონვენციით გარანტირებული უფლებების მძიმე, სისტემური დარღვევის შესახებ. თუ კომიტეტი მიიღებს გადაწყვეტილებას ქვეყანაში ვიზიტის შესახებ, ამის განსახორციელებლად ესაჭიროება ქვეყნიდან ნებართვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, კომიტეტს შეუძლია ვიზიტის გარეშე განიხილოს საკითხი არსებული ინფორმაციის საფუძველზე და მიიღოს საბოლოო შეფასების დოკუმენტი. ამ შემთხვევაში ქვეყნებს ეძლევათ 6 თვე იმისათვის, რომ უპასუხონ კომიტეტის მიერ გამოვლენილ საკითხებს.

ამგვარი საფუძვლიანი მოკვლევა გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ ჩატარდა 4-ჯერ, იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ქალთა მიმართ ძალადობასა და დისკრიმინაციულ მოპყრობასთან:

- ქალთა რეპროდუქციულ უფლებებზე აბორტის უფლებასთან დაკავშირებით, ჩრდილოეთ ირლანდიაში 2018 წელს.[2]
- კონტრაცეპტივებზე წვდომის უფლება ქალებისთვის, ფილიპინებში, 2015 წელი.[3]
- აბორიგენი ქალების და გოგოების მკვლელობა და გაუჩინარების პრობლემა კანადაში, 2015 წელი.[4]
- ქალთა კვლა და გაუჩინარება მექსიკაში, 2005 წელი.[5]

[1] შშმ პირთა კონვენციის დამატებითი ოქმი მუხლი 4 (1)

[2] CEDAW/C/OP.8/GBR/1 (ohchr.org)

[3] Treaty bodies Download (ohchr.org)

[4] Treaty bodies Download (ohchr.org)

[5] Treaty bodies Download (ohchr.org)

CRPD კომიტეტის მიერ გამოკითხვის პროცედურა გამოყენებულია მხოლოდ 3 შემთხვევაში: გაერთიანებული სამეფო (მე-19, 27- 28-ე მუხლები), ესპანეთი (24-ე და მე-4 მუხლები); უნგრეთი (მე-12, მე-9 და მე-5 (4) მუხლები).

გამოკითხვის პროცედურები შემდეგ საფეხურებს მოიცავს:



ინდივიდუალური საჩივრის წარდგენა

დასაშვებობის ფორმალური კრიტერიუმები

ორივე კომიტეტს გააჩნია მკაცრი დასაშვებობის კრიტერიუმები და წინაპირობები, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია იმისათვის, რომ ინდივიდუალური მიმართვა იყოს ფორმალურად გამართული:

- ✓ საჩივარი უნდა იყოს წარდგენილი წერილობითი ფორმით.
- ✓ დაუშვებელია ანონიმური საჩივარი.
- ✓ ქვეყანას რატიფიცირებული უნდა ჰქონდეს დამატებითი ოქმი.
- ✓ ამოწურული უნდა იყოს ქვეყნის შიდა ყველა ეფექტური სამართლებრივი მექანიზმი.
- ✓ იმავე საჩივარს არ უნდა განიხილავდეს პარალელურად სხვა საერთაშორისო მექანიზმები.
- ✓ მოთხოვნა უნდა იყოს დასაბუთებული.
- ✓ დარღვევის დროს კონვენციის დამატებითი ოქმი უნდა ყოფილიყო კონკრეტული ქვეყნისთვის ძალაში შესული. გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადრე დაიწყო დარღვევა და გრძელდება ოქმის ძალაში შესვლის დროსაც.[6]

ინდივიდუალური საჩივრის წარდგენის ეტაპები ასე გამოიყურება:

[6] CEDAW კონვენციის დამატებითი ოქმი, მუხლი 4 (2)(e)

ვადები, სამუშაო ენა და მისამართი

რაც შეეხება კომიტეტებში საჩივრების წარდგენის ვადებს, დამატებითი ოქმები არ განსაზღვრავს კონკრეტულ ვადას, რა დროში უნდა წარედგინოს კომიტეტს საჩივარი, თუმცა მნიშვნელოვნად გადადება (მაგალითად 3-5 წელი მას მერე, რაც ამოიწურა შიდა სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამოყენება)[7], შესაძლოა, ჩაითვალოს კომიტეტისთვის მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენებად, გახდეს საჩივრის მიუღებლობის საფუძველი.

ადრესატებს რაც შეეხებათ, CRPD კომიტეტში საჩივრის წარდგენის დროს ინდივიდუალური საჩივარი უნდა გაეგზავნოს პეტიციების გუნდს[8].

ხოლო CEDAW კომიტეტთან მიმართვის დროს ინდივიდუალური საჩივარი უნდა გაიგზავნოს ასევე სპეციალურ მისამართზე.[9]

ორივე კომიტეტს ინდივიდუალური საჩივარი და ყველა სხვა დოკუმენტი უნდა წარედგინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რომელიმე ოფიციალურ ენაზე[10].

კომიტეტების მიერ განხილული საქმეები

გაფრთხილება: ქვემოთ მოცემულ საქმეებში აღწერილია მძიმე ისტორიები, რომლებმაც შეიძლება მკითხველს გაუღვიძოს მოგონებები და განუახლოს ტრავმა წარსული ძალადობის გამო. თუ განიცდით ძალადობას და გესაჭიროებათ დახმარება, გთხოვთ, დაუკავშირდეთ სახელმწიფო ცხელ ხაზს 116 006 და ითხოვოთ დახმარება.

აღნიშნულ თავში წარმოდგენილია ორ კომიტეტში ინდივიდუალური მიმართვების საფუძველზე განხილული საქმეები, რომლებითაც კომიტეტმა მნიშვნელოვანი სტანდარტი დაადგინა კონვენციის კონკრეტული მუხლების განმარტებისთვის. აღნიშნული საქმეები მკითხველს ასევე აძლევს საშუალებას, ინდივიდუალური მიმართვის დროს გამოიყენოს ამ საქმეებში მოცემული მსჯელობა საკუთარი საჩივრის დასაბუთებისთვის. მეორე მხრივ, ეს საქმეები დაეხმარება ქვეყნის შიგნით უფლებების ადვოკატირების პროცესში.

CEDAW კომიტეტი

V.P.P. ბულგარეთის წინააღმდეგ [11]

ქალმა (S) მიმართა კომიტეტს თავისი 7 წლის გოგოს (V) ინტერესების დაცვის მიზნით, რომელიც გახდა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი მეზობლის მხრიდან. დამნაშავე B გაასამართლეს უფრო მსუბუქი ხასიათის სექსუალური დანაშაულისთვის, ვიდრე მან ჩაიდინა. მან თავი დამნაშავედ აღიარა, გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება და სასჯელის სახით განესაზღვრა 3 წელი პირობითი მსჯავრი. მორალური ზიანის სახით მოსარჩელემ მოიგო 15 000 ევრო, თუმცა მოძალადისგან მხოლოდ 500 ევროს მიღება შეძლო, რადგან სახელმწიფოს არ ჰქონდა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების კანონიერი საშუალება. სექსუალურმა მოძალადემ ცხოვრება გააგრძელა მსხვერპლი ბავშვის მეზობლად ისევ, რაც განგრძობადაც ქმნიდა მსხვერპლისთვის შიშს, რომ განმეორდებოდა ჩადენილი დანაშაული. დანაშაულის შედეგად 7 წლის გოგონა გახდა შეზღუდული შესაძლებლობის.

[7] A guide to using the UN CEDAW committee and the special rapporteur on violence against women in cases of gender-based violence, 2018. p. 6

[8] Petitions and Inquiries Section Office of the High Commissioner for Human Rights United Nations Office at Geneva 1211 Geneva 10, Switzerland; შემდეგ საფოსტო მისამართზე - TB-petitions@ohchr.org petitions@ohchr.org crpd@ohchr.org registry@ohchr.org სასწრაფო საკითხებზე, ისეთი, როგორიც დროებითი ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნაა, დაკავშირება შესაძლებელია ფაქსით: +41 22 917 9022

[9] Committee on the Elimination of Discrimination against Women
c/o Division for the Advancement of Women, Department of Economic and Social Affairs
United Nations Secretariat
2 United Nations Plaza
DC-2/12th Floor
New York, NY 10017
United States of America
Fax: 1-212-963-3463

[10] ესენია: ინგლისური, ფრანგული, ესპანური, არაბული, ჩინური, რუსული.

[11] Communication No. 31/2011; UN Doc. CEDAW/C/53/D/31/2011

CEDAW კომიტეტმა ბავშვის საქმეზე დაადგინა არაერთი დარღვევა, მათ შორის კონვენციის მეორე მუხლის 2(a)- (c), (e)-(g), მუხლის 1, 3, 59(a) (b), 12 და 15(1) ნაწილები და თქვა, რომ ბულგარეთის სახელმწიფომ ვერ დაიცვა ეფექტურად 7 წლის გოგო სექსუალური დანაშაულისგან და არ მისცა სათანადო კომპენსაცია მიყენებული მორალური ზიანისთვის, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და განათლების უფლებები. ასევე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო დანაშაულის მსხვერპლი ბავშვი სათანადო რეაბილიტაციის მომსახურებებით და ვერ დაიცვა ის განმეორებითი ვიქტიმიზაციისგან(მსხვერპლად ყოფნა) დამნაშავის მხრიდან. კომიტეტმა მოსთხოვა ბულგარეთის სახელმწიფოს მსხვერპლი ბავშვისთვის ყველა საჭირო მომსახურების მიწოდება, ამასთანავე სისტემის გაძლიერება საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებით, მათ შორის ცვლილებით, რომელიც დაარეგულირებს იურიდიულ დახმარებას მსხვერპლისთვის გადაწყვეტილებების ეფექტური აღსრულებისთვის და აკრძალავს რევიქტიმიზაციის საკითხს. ფინანსური კონპენსაციის ვალდებულების პარალელურად, კომიტეტმა სახელმწიფოს დააკისრა ახალი რეგულაციების მიღების ვალდებულება, მათ შორის ჯანდაცვისა და სამედიცინო მომსახურების პროტოკოლების შემუშავება, რათა დაცული იყვნენ სექსუალური დანაშაულების მსხვერპლი ქალები და გოგოები.

Karen Tayag Vertido ფილიპინების წინააღმდეგ [12]

მომჩივანი გააუპატიურა თავისმა თანამშრომელმა სასტუმროში. მსხვერპლი ფიქრობდა, რომ მოძალადეს თან ჰქონდა იარაღი. მოსამართლემ საქმის განხილვის დროს მიიჩნია, რომ კარენს შეეძლო გაქცეულიყო და ეს არ გააკეთა. შესაბამისად, მან გამოხატა თანხმობა სექსუალურ აქტზე. მოსარჩელემ ამხილა მოსამართლე სტერეოტიპულ აზროვნებაში, რადგან, მისი აზრით, მოსამართლე აზროვნებდა გაუპატიურებაზე გავრცელებული მითითების მიხედვით. CEDAW კომიტეტმა საქმეზე დაადგინა, რომ ფილიპინებმა დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლის (f) და მე-5 მუხლის (a) ნაწილით გარანტირებული უფლებები მომჩივნის მიმართ. აღნიშნული მუხლები ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფოს, მიიღოს ყველა საჭირო ზომა, შეცვალოს არა მხოლოდ კანონი, არამედ ჩვეულებები და პრაქტიკა ქვეყანაში, რაც განაპირობებს ქალის მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას.

კომიტეტმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ სტერეოტიპები დამაზიანებელ გავლენას ახდენს ქალთა სამართლიანი მართლმსაჯულების უფლებაზე და სასამართლო ხელისუფლებამ უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე და არ შექმნას მოუქნელი სტანდარტი, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს გაუპატიურებული ქალების და გოგოების ქცევის პატერნს (თავისებურებას). ასეთი პატერნები, როგორც წესი, ეყრდნობა წინასწარგანსაზღვრულ იდეას გაუპატიურების მსხვერპლთა ქცევის შესახებ.

კომიტეტმა დაასკვნა, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება შეიცავდა რამდენიმე სტერეოტიპულ მოსაზრებას და დამოკიდებულებას. ამის გამოხატულება იყო ის, რომ მოსამართლემ იმთავითვე დამაჯერებლად მიიჩნია მოძალადის ჩვენება და ნაკლები მნიშვნელობა მიანიჭა მსხვერპლის მონაყოლს. მოსამართლის შეფასებები მიემართებოდა მსხვერპლის პიროვნულ მახასიათებლებს და ქცევას, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დეტალების შეფასების ვალდებულება საერთოდ არ გამომდინარეობდა გაუპატიურების დანაშაულის საკანონმდებლო დეფინიციიდან.

X და Y საქართველოს წინააღმდეგ. [13]

საქმე ეხება საქართველოს სახელმწიფოს წარუმატებლობას ძალადობის მსხვერპლი ქალი და არასრულწლოვანი შვილების დაცვის, პრევენციისა და დამნაშავის დასჯის მიზნით ეფექტური გამოძიების ჩატარების ვალდებულების შესრულებისას.

მოსარჩელე X- მა, გოგო შვილმა Y - მა, კომიტეტს მიმართეს საჩივრით, რომელშიც აღწერდნენ, რომ სახელმწიფომ ისინი ვერ დაიცვა სისტემატური

[12] Communication No. 18/2008, UN Doc. CEDAW/C/46/D/18/2008 (22 September 2010)

[13] Communication No. 24/2009, UN Doc. CEDAW/C/61/D/24/2009 (2015)

ფსიქოლოგიური, ფიზიკური და სექსუალური ძალადობისგან ყოფილი ქმრის/მამის მხრიდან. 1987 წელს „X“ დაქორწინდა ქართველ მამაკაცზე მას შემდეგ, რაც იგი გააუპატიურეს 1987 წლის ივლისში გამართულ სტუდენტურ წვეულებაზე; მანამდე იგი ქალიშვილი იყო. „X“ აცხადებს, რომ ქართული საზოგადოება ქალწულობას მიიჩნევს ახალგაზრდა ქალის ღირსებად, როგორც წარმატებული ქორწინების საწინდრად. „X“ დაქორწინდა ამ მამაკაცზე, რადგან სჯეროდა, რომ მის ცოლად მოყვანას აღარავინ მოისურვებდა. ქორწინების განმავლობაში მან გააჩინა 5 შვილი. პირველი ფეხმძიმობის შემდეგ მან მიატოვა სამსახური თბილისის მუსიკალურ სკოლაში, სადაც მუსიკის მასწავლებლად მუშაობდა.

„X“ აცხადებს, რომ მისი ქმარი ხშირად უკმაყოფილო იყო ცოლის საოჯახო საქმიანობით და ღიზიანდებოდა, როცა მისი მითითებები არ სრულდებოდა. კონფლიქტები წარმოიშობოდა წვრილმან საყოფაცხოვრებო საკითხებზე და ძალადობრივი ინციდენტებით სრულდებოდა. იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა განმცხადებლის ქმარი ფიზიკურად გაუსწორდა მათ ვაჟიშვილს - „T“-ს. ზოგადად, მისი ქმარი ძალადობრივად რეაგირებდა, თუ ბავშვები თამაშის დროს იჩხუბებდნენ. იგი უყვიროდა მათ, ანჯღრევდა ძალის გამოყენებით და კეტავდა საპირფარეშოში. ერთხელ „X“-ს მოუხდა „Y“-ისა და „T“-სთვის თითზე ჭრილობების გაწმენდა, რომლებიც გამოწვეული იყო მამის მიერ კარებში თითების ჩატანებით, რათა დაესაჯა ბავშვები უსაქციელობის გამო. მათი ეს ორი შვილი განიცდიდა ყველაზე მეტ ძალადობას. რიგ შემთხვევებში, მამა სცემდა შვილებს სხვადასხვა ნივთით, რომელთა გადამალვასაც „X“ ცდილობდა შვილების დაცვის მიზნით. აღნიშნული ქმედება მთავრდებოდა ქმრის მხრიდან „X-ზე“ აგრესიული ძალადობით.

2004 წელს არაერთხელ იძალადა ქმარმა, შეურაცხყოფა მიაყენა და სცემა „X“-ს მას შემდეგ, რაც მან გარკვეული თანხის მიცემა სთხოვა. სამედიცინო ექსპერტიზამ დააკვალიფიცირა „X“-ის დაზიანებები, როგორც ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება. 17 ივლისს პოლიციამ წერილობით ვალდებულებაზე ხელის მოწერა მოსთხოვა ქმარს, რათა აღარ გამოეყენებინა ძალა „X“-ის მიმართ. 24 ივლისს რაიონულმა პროკურატურამ აცნობა ცოლს, რომ მისი მეუღლის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღარ აღიძვრებოდა. მომდევნო აგრესიული ქმედებების შემდეგ ქმარს ხელწერილი დააწერინეს, რომ აღარ იძალადებდა.

„X“ ამბობს, მან 1993 წელს გააცნობიერა , რომ მისმა ქმარმა დაიწყო გაუკუღმართებული ურთიერთობა „Y“-თან. „X“-ის დედამ, რომელიც 1993 წელს გადმოვიდა მათთან ოჯახში, შეამჩნია, რომ მისი სიძე ხშირად თამაშობდა თავის ქალიშვილთან, რა დროსაც ხელი ეჭირა ფეხებს შორის, ბავშვის სასქესო ორგანოზე. როდესაც X-ის ქალიშვილი დაახლოებით 2 წლის იყო, ბებია ხედავდა, რომ მის სიძეს ბავშვი კალთაზე ესვა და ხელები მის სასქესო ორგანოზე ჰქონდა; კაცის სახე წითელი იყო, კვნესოდა და ვერ შეამჩნია, რომ მას უყურებდნენ. აღშფოთებულმა ბებიამ გაასაჩივრა სიძის ქმედება და ბავშვი წაიყვანა. „Y“-ს ასევე ხშირად სცემდა მამამისი. ერთხელ მამამ „Y“-ს ცემა ჩოგნით , რომელიც გატყდა და ბავშვს დაუტოვა სერიოზული დაზიანებები. დედამ აღნიშნული ძალადობის შესახებ შეატყობინა პოლიციას, თუმცა პროკურატურამ ისევ არ დაიწყო საქმის გამოძიება.

აღნიშნულ საქმეში კომიტეტმა დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება და, შესაბამისად, დაარღვია კონვენციის მე-2(ბ)-2(ვ) მუხლი, 1-ელ მუხლთან ერთად და მე-5(ა) მუხლით გათვალისწინებული საჩივრის ავტორის უფლებები, ისევე, როგორც კომიტეტის მე-19 ზოგადი რეკომენდაცია.

კომიტეტმა კონკრეტული რეკომენდაციებით მიმართა საქართველოს, მათ შორის:

1. მოხდეს მსხვერპლთა ადეკვატური ფინანსური კომპენსირება ;

2. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და მათი შვილებისთვის უზრუნველყოფილი იყოს დროული და ადეკვატური დახმარების მიწოდება, მათ შორის, თავშესაფარი და ფსიქოლოგიური დახმარება;

3. გაძლიერდეს ცნობიერების ამაღლების კამპანიები ქალთა წინააღმდეგ ძალადობასთან, უფრო კონკრეტულად, ოჯახში ძალადობასთან მიმართებით;

4. წარმოადგინონ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა;

5. მოსამართლეთათვის, ადვოკატებისა და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებისათვის, მათ შორის, პროკურორებისათვის, უზრუნველყოფილ იქნას სავალდებულო ტრენინგის ჩატარება ოჯახში ძალადობის პრევენციის შესახებ კანონის გამოყენების თაობაზე; აგრეთვე, ჩატარდეს ტრენინგი ოჯახში ძალადობის განსაზღვრებასა და გენდერულ სტერეოტიპებზე, ისევე, როგორც კონვენციის, დამატებითი ოქმებისა და კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციების, კერძოდ, მე-19 ზოგადი რეკომენდაციის შესახებ.

CRPD კომიტეტი

Ms. Z ტანზანიის წინააღმდეგ [14]

აპლიკანტი არის ალბინიზმის მქონე მარტოხელა დედა. 2008 წელს აპლიკანტს, მძინარეს 2 წლის შვილთან ერთად, თავს დაესხა ორი მამაკაცი, მოკვეთეს ერთი მკლავი, მეორე კი დაუზიანეს. მან ერთი თავდამსხმელი ამოიცნო, რომელიც მისი მეზობელი იყო. მოსარჩელე ამ დროს ორსულად იყო. თავდასხმის შედეგად დაკარგა ნაყოფი.

2011 წელს თავდამსხმელი დაიჭირეს. ქალმა ამოიცნო, თუმცა მის ჩვენებას მოსამართლემ არ მიანიჭა სათანადო წონა, რადგან მიიჩნია, რომ ადამიანი, რომელსაც მხედველობის პრობლემა აქვს (ალბინიზმის მქონე), ვერ ამოიცნობდა დამნაშავეს. სასამართლომ დაზარალებულის თანხმობის გარეშე დაკითხა მისი ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მამა, რომელმაც ქალისაგან განსხვავებული ჩვენება მისცა. შედეგად, მტკიცებულებების ნაკლებობის გამო, დამნაშავე გაათავისუფლეს. ამის შემდეგ გაგრძელდა ქალის შევიწროება და დისკრიმინაციული ფაქტები მის მიმართ. გარდა ამისა, მას შეეზღუდა თვითმოვლის შესაძლებლობა ამპუტირებული მხრის გამო.
მოსარჩელემ წარმოადგინა სტატისტიკური ინფორმაცია, თუ რამდენი ალბინიზმის მქონე ადამიანი სახიჩრდება წლის განმავლობაში ტანზანიაში დამაზიანებელი მითის გამო, რომ ისინი „ღვთის წყევლა“ და „მოჩვენებები“ არიან. ასევე არსებობს სასტიკი მითი, რომ ალბინიზმის მქონე ადამიანის სხეულის ნაწილის მოკვეთა სიმდიდრისა და წარმატების მომტანია.

კომიტეტმა საქმეზე დაადგინა კონვენციის მე-5; მე-6; 15(1)-ე; 16-ე ; 17-ე მუხლის დარღვევა. კერძოდ, ტანზანიის სახელმწიფოს წარუმატებლობა დაეცვა შშმ ქალი დისკრიმინაციული დანაშაულისაგან. მიეღო ყველა ზომა დამნაშავის დასასჯელად და ქალის უფლებების აღსადგენად. კომიტეტმა ასევე დაადგინა, რომ აღნიშნული დანაშაულის გამოუძიებლობით მიყენებული განმეორებითი ტანჯვა ქალისთვის უტოლდება ტანჯვას და არაადამიანურ მოპყრობას სწორედ შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე. ასევე სახელმწიფომ არ მიაწოდა სათანადო რეაბილიტაციის სერვისები ქალს, რომელმაც განიცადა ტანჯვა და დაკარგა ნაყოფი, ამით დაარღვია კონვენციის ვალდებულებები. დასკვნაში ასევე ხაზი გაესვა გენდერულად მოტივირებულ დანაშაულს ქალის მიმართ, რომელიც არის შეზღუდული შესაძლებლობის და ამავდროულად იყო ორსულად. ამიტომ კომიტეტმა დაადგინა შესაბამისი მუხლის დარღვევაც.

HM შვედეთის წინააღმდეგ [15]

მომჩივანი ასაჩივრებდა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ჰიდროთერაპიული აუზის მშენებლობისათვის ნებართვის გაცემაზე უარს (ქალაქის განვითარების გეგმასთან წინააღმდეგობის არგუმენტით). აუზს უნდა ჰქონოდა რეაბილიტაციის დანიშნულება მომჩივნის ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობის გამო, რაც გამოწვეული იყო მძიმე დაავადებით.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში არსებობს რეაბილიტაციის ცენტრები, შშმ პირის რთული ჯანმრთელობის მდგომარეობა ქმნიდა მისი ყოველდღიური ტრანსპორტირების დროს ჯანმრთელობის დაზიანების სერიოზულ რისკს. შესაბამისად, მას ესაჭიროებოდა სახლთან მაქსიმალურად ახლოს ანალოგიური რეაბილიტაცია, რათა

[14] https://bit.ly/2Nsi2xS

[15] UN Doc CRPD/C/7/D/3/2011 (21 May 2012)

ტრანსპორტირება გამორიცხულიყო.

ქალაქის თვითმმართველობამ განმცხადებელს უარი უთხრა თავის ბინაში სამშენებლო სამუშაოების ჩატარებაზე, მიშენებაზე იმ არგუმენტით, რომ იმ ტერიტორიაზე მშენებლობა ეწინააღმდეგებოდა ქალაქის განვითარების გეგმას, რომელიც კანონით იყო დამტკიცებული. შვედეთის ეროვნულმა სასამართლოებმა ასევე უარი უთხრეს მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

CRPD კომიტეტმა იმსჯელა საქმეზე და დაადგინა შშმ პირთა კონვენციის მუხლების დარღვევა შვედეთის მიერ. კერძოდ, კონვენციის მე-3-5; მე-19; 25-26-ე და 28-ე მუხლების დარღვევა, რითაც გარანტირებულია თანასწორობისა და რეაბილიტაცია- აბილიტაციის უფლება შშმ პირთათვის. კომიტეტმა დაადგინა, რომ მომჩივანს უფლება ჰქონდა ესარგებლა რეაბილიტაციის თანასწორი მისაწვდომობის უფლებით. მისი მდგომარეობის გათვალისწინებით კი, საკუთარ სახლში აუზის მოწყობა წარმოადგენდა გონივრულ მისადაგებას, რომელზეც დაუსაბუთებელი უარი წარმოადგენს დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით. ასევე დაირღვა დამოუკიდებელი ცხოვრების უფლება, რადგან მომჩივანს უფლება ჰქონდა სხვების თანასწორად ეცხოვრა საზოგადოებაში და ესარგებლა საჭირო სერვისებით. არგუმენტი იმის შესახებ , რომ კანონი არ უშვებდა ამგვარი მშენებლობის საშუალებას, კომიტეტისთვის არ იყო დამაჯერებელი, რადგან თუ კანონი არის ნეიტრალური და არ ითვალისწინებს შშმ პირთა საჭიროებებს, ის თავისთავად არის დისკრიმინაციული სწორედ ამ ჯგუფის მოქალაქეებისთვის. შესაბამისად, მისი გამოყენებით უფლების რეალიზებაზე უარი ვერ იქნება სამართლებრივად გამართლებული.

Ms J.H ავსტრალიის წინააღმდეგ [16]

აპლიკანტი არის ავსტრალიის სმენის არმქონე მოქალაქე, რომელიც კომუნიკაციისთვის იყენებს ჟესტურ ენას და თარჯიმანს. მას შემთხვევითი შერჩევის პრინციპით მოუწია ერთ-ერთ საქმეზე ნაფიც მსაჯულად ყოფნა. თუმცა იმისათვის, რომ სრულყოფილად მიეღო ინფორმაცია პროცესის განმავლობაში და შემდგომ თათბირის დროს გამოეხატა საკუთარი აზრი, ესაჭიროებოდა გარემოებების გონივრული მისადაგება, ანუ ამ შემთხვევაში ტექნიკის ან თარჯიმნის საშუალებით ინფორმაციის მიღება და გაცვლა. აღნიშნულ მოთხოვნაზე შესაბამისი უწყებების მხრიდან მიიღო უარი, რაც დაეფუძნა ავსტრალიის კანონმდებლობას. ამასთანავე სახელმწიფომ არგუმენტად მოიშველია ნაფიც მსაჯულთა თათბირის საიდუმლოების პრინციპი და თქვა, რომ თარჯიმნის ჩართვა თათბირის დროს დაარღვევდა აღნიშნულ პრინციპს. აპლიკანტი ასაჩივრებდა უარს და ამბობდა, რომ თარჯიმნის მომსახურების შეზღუდვის გამო მას მოექცნენ დისკრიმინაციულად შეზღუდული შესაძლებლობის გამო. ამასთანავე, მიიჩნევდა, რომ თარჯიმანი ისევე დადებდა საიდუმლოების ფიცს, როგორც ყველა ნაფიცი მსაჯული აკეთებს ამას და მისი მომსახურება იქნებოდა ზოგადად მართლმსაჯულების ნაწილი, შესაბამისად, ვერ დაირღვეოდა საიდუმლოების მნიშვნელოვანი პრინციპი.

აპლიკანტმა დარღვეული უფლების აღსადგენად ინდივიდუალური საჩივრით მიმართა გაეროს შშმ პირთა კომიტეტს, რათა ემსჯელათ მის საქმეში სახელმწიფოს მხრიდან კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევის შესახებ.

კომიტეტმა განიხილა საქმე და 2018 წელს და მიიღო გადაწყვეტილება აპლიკანტის სასარგებლოდ. კერძოდ, კომიტეტმა დაადგინა გაეროს შშმ პირთა კონვენციის მე-5 (2; 3) და 21-ე (b; e) მუხლის დარღვევა, რაც ნიშნავს იმას, რომ ავსტრალიის სახელმწიფომ ვერ დაიცვა სმენადაქვეითებული მოქალაქე დისკრიმინაციისაგან. დაუსაბუთებლად უარი უთხრა *„გონივრული მისადაგების პრინციპის“* გამოყენებაზე, რაც თარჯიმნის დანიშვნაზე უარით გამოიხატა. ამავდროულად, სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის ნაკისრი ვალდებულება, გაატაროს ყველა ზომა იმისათვის, რომ შშმ პირებმა შეძლონ, სხვების თანასწორად, მოსაზრებების გამოხატვა, რაც გულისხმობს აგრეთვე ნაფიც მსაჯულად მსახურების დროს ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების შესაძლებლობას.

[16] https://www.ag.gov.au/sites/default/files/2020-03/jh-views-committee-on-rights-of-persons-with-disabilities.pdf